



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

უსაფრთხოების მიმოხილვა

ალექსი პეტრიაშვილი

საქართველო და უკრაინა:
როდის და როგორ შევალთ ნატოში?

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება დაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის
ფონდი 2021

ჩემი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე, სხვადასხვა ფორმატში, სტუდენტებთან, საჯარო მოხელეებთან, ჟურნალისტებთან, სოფლად თუ დიდ ქალაქებში მცხოვრებ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებთან გამართული შეხვედრების, სემინარებისა თუ ლექციების დროს, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული შეკითხვა ყოველთვის იყო: როდის და როგორ შევალთ ნატოში?

ძალიან კარგად მესმის ამ შეკითხვის ავტორების, იმიტომ, რომ მეც დამისვამს დაახლოებით იგივე შეკითხვა ჩვენი საერთაშორისო პარტნიორებისა და მეგობრებისთვის - როგორ შეიძლება, რომ დაჩქარდეს საქართველოს ნატოში გაწევრიანება?

ეს ყველაფერი იმიტომ გამახსენდა, რომ ცოტა ხნის წინ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ საინფორმაციო სააგენტო „აქსიოს“ გადაცემაში „Axios on HBO“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: [„მე რომ პრეზიდენტ ბაიდენისთვის შეკითხვის დასმის შესაძლებლობა მქონდეს, აუცილებლად ვკითხავდი: რატომ არ არის ამ დრომდე უკრაინა ნატოში“?](#) ეს არ არის რიტორიკული შეკითხვა - მართლაც, რატომ არ არიან უკრაინა და საქართველო ამ დრომდე გაწევრიანებული ნატოში, როცა ნატომ ამის თაობაზე ისტორიული გადაწყვეტილება 13 წლის წინ, ბუქარესტის სამიტზე მიიღო.

ვიდრე ჩვენი სტატიის სათაურში გამოტანილ მთავარ კითხვებზე პასუხის გაცემას შევეცდებით, უმჯობესი იქნება, ავხსნათ, თუ რატომ უნდა გაწევრიანდნენ საქართველო და უკრაინა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში.

ვინც ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესებს აქტიურად ადევნებს თვალ-ყურს, დამეთანხმება, რომ დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე ორივე ქვეყანაში ძალიან ბევრი რამ მოხდა ისეთი, რაც ნატოში გაწევრიანების მათ სწრაფვას განსაზღვრავს. სამწუხაროდ, ბევრ პოზიტიურ საკითხთან ერთად, უკრაინასთან ჩვენ ერთი ძალიან სერიოზული პრობლემა გვაერთიანებს - ჩვენი მეზობელი რუსეთის ფედერაცია, უფრო სწორად, მისი ხელისუფლების თავგანწირული ბრძოლა, რომ უკრაინა და საქართველო ვერასდროს გახდნენ თავისუფალი, დემოკრატიული, განვითარებული და სტაბილური სივრცის ნაწილი. ვლადიმერ პუტინი ყოველთვის დაუფარავად აფრთხილებდა დასავლეთს, რომ ის აუცილებლად მიიღებდა ზომებს საქართველოს და უკრაინის ნატოში გაწევრიანების შემთხვევაში. ასე იყო 2008 და 2014 წლებში საქართველოსა და უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის სამხედრო აგრესიის განხორციელებამდეც და შემდეგაც. მაგალითად, 2018 წელს ვლადიმერ პუტინმა პირდაპირ [განაცხადა](#), რომ რუსეთი აუცილებლად მიიღებდა საპასუხო ზომებს ასეთი აგრესიული ნაბიჯების წინააღმდეგ, რომლებიც პირდაპირ საფრთხეს წარმოადგენდა რუსეთის ფედერაციისთვის. ასეთი ტიპის განცხადებები ისმოდა მას შემდეგ, რაც საქართველომ და უკრაინამ ღიად დაიწყეს საუბარი ნატოში გაწევრიანებაზე და ამ

მიმართულებით თანამშრომლობა გაააქტიურეს. თუმცა, რამდენად მიუღებელია ამ ორი ქვეყნის ნატოში გაწევრიანება რუსეთისთვის, ყველაზე დრამატულად სწორედ 2008 და 2014 წლებში გამოჩნდა. მაშინ დაწყებული ოკუპაცია საქართველოში, უკრაინის ტერიტორიების ანექსია ყირიმში და სამხედრო მოქმედებები აღმოსავლეთ უკრაინაში დღემდე გრძელდება. ჩვენი ქვეყნების ტერიტორიებზე რუსი სამხედროები პრაქტიკულად ყოველდღიურად კლავენ მშვიდობიან მოქალაქეებსა თუ ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლ სამხედრო მოსამსახურეებსა და მოხალისეებს, ავლებენ მავთულხლართებს, იტაცებენ მშვიდობიან მოქალაქეებს და იპყრობენ ახალ ტერიტორიებს.

თუ უფრო ფართო კონტექსტში შევხედავთ რუსეთის აგრესიულ ქმედებებს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ უკრაინა და საქართველო იბრძვიან არა მხოლოდ საკუთარი უსაფრთხოებისა და ტერიტორიებისთვის, არამედ ნატოს აღმოსავლეთ ფლანგზე რუსეთის შეკავებისთვის მებრძოლ ქვეყნებს წარმოადგენენ.

მნიშვნელოვანია, რომ მიუხედავად რუსეთის აგრესიული ქმედებებისა, საქართველო და უკრაინა განაგრძობენ სწრაფვას ნატოში გაწევრიანებისკენ. ომამდელ პერიოდსაც თუ გადავავლებთ თვალს, ნათლად გამოჩნდება, რომ, თუ არ ჩავთვლით ვიქტორ იანუკოვიჩის მმართველობის პერიოდს (როდესაც მან ჯერ [განაცხადა](#), რომ უკრაინას არც ნატოში გაწევრიანება სურს და არც მაპ-ის მიღება, შემდეგ კი შეძლო გაეტანა უკრაინის რადაში გადაწყვეტილება ქვეყნისთვის უბლოკო სტატუსის მინიჭების შესახებ), უკრაინა და საქართველო 2000-იანი წლებიდან აქტიურად მუშაობდნენ ნატოში გაწევრიანების ამოცანის რეალიზებაზე. 2002 წელს ორი ქვეყნის პრეზიდენტებმა ოფიციალურად განაცხადეს, რომ ჰქონდათ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების სურვილი. ორივე ქვეყანამ მიიღო ჯერ ინტენსიური დიალოგის ფორმატი ნატოსთან, შემდეგ კი - ყოველწლიური ეროვნული პროგრამები და ნატო-საქართველოს და ნატო-უკრაინის ორმხრივი კომისიები. [ნატოს სამიტების დეკლარაციებში აღნიშნული მექანიზმები განხილულია, როგორც აუცილებელი ინსტრუმენტები ნატოში საბოლოოდ გაწევრიანებისთვის.](#) თუმცა, ნატოს [დოკუმენტებში](#) ასევე არის ასახული, რომ გაწევრიანების სამოქმედო გეგმა - მაპი წარმოადგენს ნატოში გაწევრიანების პროცესის სავალდებულო შემადგენელ ნაწილს. 2014 წელს საქართველოს შვედეთთან, ფინეთთან, ავსტრალიასთან და იორდანიასთან ერთად მიენიჭა გაძლიერებული შესაძლებლობათა პარტნიორის სტატუსი. უკრაინამ ეს სტატუსი ცოტა ხნის წინ, 2020 წლის ივნისში მიიღო. გარდა ამისა, ნატოსთან თანამშრომლობისთვის საქართველოს აქვს ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი, რომლის განახლებული ვერსია სულ ცოტა ხნის წინ დამტკიცდა. 2015 წლიდან საქართველოში ფუნქციონირებს ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნისა და განათლების ერთობლივი ცენტრი (JTEC), ხოლო უკრაინასთან ერთად ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ საბრძოლველად შექმნილია ნატო-უკრაინის პლატფორმა.

რა თქმა უნდა, ყოველთვის განსაკუთრებით ხაზგასმით აღინიშნება როგორც ოფიციალურ დოკუმენტებში, ისე განცხადებებში საქართველოს და უკრაინის წვლილი ნატოს მიერ განხორციელებულ საერთაშორისო უსაფრთხოების ოპერაციებში. ნატო ასევე მაღალ შეფასებებს აძლევს საქართველოს გადადგმულ ნაბიჯებს ალიანსთან სამხედრო თავსებადობის უზრუნველყოფის მიმართულებით. უკრაინამ კი, თავის მხრივ, სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობის გარდა, საკუთარი სამხედრო შესაძლებლობები აქტიურად ჩართო პანდემიის წინააღმდეგ ნატოს საპასუხო ზომების განხორციელების პროცესში, ალიანსის მიერ სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავების გამოყენების გზით.

ამრიგად, საქართველო და უკრაინა, სამხედრო თავსებადობის თვალსაზრისით, წლებია აკმაყოფილებენ ნატოს სტანდარტებს და დამსახურებულად წარმოადგენენ ბრძოლის ველზე გამოცდილ ღირსეულ მოკავშირეებს.

შავ ზღვაზე ნატოსთან თანამშრომლობის შესახებ ვრცლად [უსაფრთხოების წინა მიმოხილვაში](#) ვისაუბრეთ. ამიტომ დეტალებზე აქ აღარ შევჩერდებით, მაგრამ მაინც ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ საქართველო და უკრაინა სულ უფრო აქტიურად ერთვებიან ნატოს მიერ შავ ზღვაზე ჩატარებულ სამხედრო წვრთნებში (ისევე, როგორც სხვა, უფრო მასშტაბურ და ინტენსიურ ერთობლივ წვრთნებსა და ვარჯიშებში), ხოლო ნატოს მხრიდან მკაფიოდ იკვეთება შავი ზღვის რეგიონის მიმართ მზარდი ინტერესი.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც განსაზღვრავს საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრიანების გადაწყვეტილებას, ამ ორი ქვეყნის მიერ რეფორმების გატარებისკენ გადადგმული ნაბიჯებია. ზემოთ მოყვანილ დოკუმენტებში თქვენ შეგიძლიათ გაეცნოთ, თუ როგორ აფასებენ ნატოში რეფორმების პროცესს უკრაინასა და საქართველოში. ეს საკითხი არაერთხელ წამოუწევია ნატოს ხელმძღვანელობასა თუ წევრი ქვეყნების უმაღლეს და მაღალი რანგის ოფიციალურ პირებს, როგორც ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობა ნატოში გაწევრიანებისთვის. არავინ დავობს, რომ სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსში წევრობისთვის ქვეყანა მზად უნდა იყოს როგორც სამხედრო თავსებადობის, ისე დემოკრატიული განვითარების დონით. თუმცა, ხშირად შეხვდებით ცალკეული ექსპერტების [შეფასებებს](#), რომ ამ მხრივ საქართველოც და უკრაინაც, შესაძლოა, უკეთესადაც კი იყვნენ მომზადებული, ვიდრე ის ქვეყნები, რომლებიც მანამდე გაწევრიანდნენ ნატოში.

ბოლო, მაგრამ ნამდვილად არა უკანასკნელი არგუმენტი, თუ რატომ უნდა გახდნენ საქართველო და უკრაინა ნატოს წევრები, არის ამ ქვეყნების მოქალაქეების მტკიცე ნება. ამ მხრივ, საქართველოს მოსახლეობა ნატოს არაერთი წევრი ქვეყნისთვის შესაშურ სიმტკიცეს იჩენს გაწევრიანების მხარდაჭერის თვალსაზრისით. ყველაზე

კრიტიკულ, ომის შემდგომ პერიოდშიც კი, კვლევების თანახმად, ნატოში გაწევრიანების მხარდაჭერა 55%-ზე დაბლა არ ჩამოსულა. აშშ-ს ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის 2020 წლის ივნისში გამოქვეყნებული [კვლევების](#) მიხედვით, 2012-2020 წლებში ნატოში გაწევრიანებას მხარს მოსახლეობის 62-დან 69%-მდე უჭერს (თუმცა შუალედებში 80%-საც აღწევს). რაც შეეხება უკრაინას, იქ მოსახლეობის მხარდაჭერა იზრდება და ამჟამად 50%-ს აჭარბებს.

Popular support in Ukraine for NATO membership since 2002

2014–2019 hide			
Date	Opinion		Poll agency
	For	Against	
March 2014	44%	47%	GfK ^[104]
April 2014	36%	48%	Razumkov Centre ^[105]
May 2014	37%	42%	Razumkov Centre ^[106]
May 2014	41%	40%	Democratic Initiatives Foundation & Razumkov Centre ^[107]
June 2014	41%	40%	Razumkov Centre ^[108]
June 2014	47%	36%	Gorshenin Institute ^[109]
July 2014	44%	34%	RATING ^[110]
October 2014	53%	34%	Gorshenin Institute ^[17]
November 2014	51%	25%	RATING ^[18]
March 2015	43.3%	33.4%	Kyiv International Institute of Sociology ^[111]
June 2015	53%	32%	Pew Research Center ^[112]
July 2015	63.9%	28.5%	Democratic Initiatives Foundation & Razumkov Centre ^[113]

December 2015	75%	11%	Democratic Initiatives Foundation ^[114]
January 2016	47%	31%	RATING ^[19]
March 2016	45%	30%	RATING ^[20]
June 2016	39%	32%	RATING ^[115]
September 2016	39%	31%	Kyiv International Institute of Sociology ^[116]
December 2016	71%	23%	Democratic Initiatives Foundation & Razumkov Centre ^[117]
June 2019	53%	29%	RATING ^[118]

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილად დადგა დრო ნატო, საქართველო და უკრაინა პარტნიორობის რეჟიმიდან გადავიდნენ სამოკავშირეო ურთიერთობების დონეზე. ისტორიულ პერსპექტივაში 13 წელი შეიძლება ბევრი არ არის და ცალკეული ქვეყნების ნატოში გაწევრიანების გამოცდილებაც (ჩრდილოეთ მაკედონიამ 2019 წელს ნატოში ოფიციალურად გაწევრიანებამდე ზუსტად 20 წლით ადრე მიიღო გაწევრიანების სამოქმედო გეგმა) ამაზე მეტყველებს, მაგრამ ალიანსმა უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ განსხვავებით ყველა სხვა, განსაკუთრებით კი, ახლადმიღებული წევრებისგან, საქართველო და უკრაინა არიან მუდმივად რუსეთიდან მომავალი საფრთხის წინაშე. კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს საფრთხე არა მხოლოდ ორი ქვეყნის პრობლემაა, არამედ მთლიანად ევროატლანტიკური სივრცისთვის წარმოადგენს ძალიან სერიოზულ გამოწვევას. ამიტომაც უადრესად მნიშვნელოვანია, რომ ალიანსმა, განსაკუთრებით კი, მისმა სკეპტიკოსმა წევრებმა, სწორად შეაფასონ 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე მიღებული, უფრო სწორად - ვერმიღებული, გადაწყვეტილებები. მნიშვნელოვანია, რომ ნატოს ცალკეულმა წევრებმა, რომლებიც სკეპტიკურად არიან განწყობილი უკრაინის და საქართველოს ნატოში გაწევრიანებისადმი, კარგად გაათვითცნობიერონ, რომ რუსეთი სარგებლობდა და ყოველთვის ისარგებლებს მათი ჩამოუყალიბებლობით; ყოველთვის დააშანტაჟებს თავად ნატოს წევრებს და ყოველთვის მზად იქნება უშუალო საფრთხე შეუქმნას საქართველოს და უკრაინის სუვერენიტეტს, ვიდრე საკითხი გაწევრიანების გზით არ გადაწყდება.

ამის საუკეთესო დადასტურება იყო სულ რამდენიმე კვირის წინ უკრაინის საზღვრებთან რუსეთის 100 ათასზე მეტი სამხედრო მოსამსახურის, ყველა ტიპისა და კატეგორიის შეიარაღებისა და ტექნიკის მობილიზება. მართალია, საერთაშორისო თანამეგობრობამ, მათ შორის, ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა, მტკიცე მხარდაჭერა გამოუცხადა უკრაინას და რუსეთი მკაცრად გააფრთხილა, რომ სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესიის განხორციელების შემთხვევაში ის [მძიმე ფასს გადაიხდის](#), მაგრამ, სამწუხაროდ, უკრაინის პრეზიდენტის ვოლოდიმირ ზელენსკის, საგარეო საქმეთა მინისტრის დმიტრო კულებას და ნატოში გაწევრიანების საკითხებში ვიცე-პრემიერის ოლგა სტეფანიშინას [მოწოდებების](#) მიუხედავად, ჯერჯერობით ალიანსი სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის, აგრეთვე უკრაინასთან მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობების შეფასებების ფარგლებში დარჩა.

უკრაინის ხელმძღვანელობას მოლოდინი გარკვეულწილად მას შემდეგ გაეზარდა, რაც აშშ-ის პრეზიდენტი დემოკრატი ჯოზეფ ბაიდენი გახდა. ორი ქვეყნის პრეზიდენტებს შორის ურთიერთობაც დამყარდა; საგარეო მდივანი ენტონი ბლინკენი კიევშიც იმყოფებოდა ვიზიტით და ვოლოდიმირ ზელენსკის თეთრ სახლში ვიზიტაც იგეგმება. თუმცა, ნატოში გაწევრიანების შესახებ მკაფიო სიგნალი ვაშინგტონიდან მაინც არ ყოფილა.

მაისის ბოლოს უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა დმიტრო კულებამ [შემფოთება გამოთქვა](#), რომ უკრაინა 14 ივნისს დაგეგმილ ნატოს სამიტზე არ იქნება მიწვეული. უკრაინის ხელმძღვანელობის აზრით, ერთადერთი გამოსავალი რუსეთთან ურთიერთობების მოსაწესრიგებლად უკრაინის ნატოში სწრაფად გაწევრიანება იქნება (არ შემძლია არ დავეთანხმო და ზუსტად იგივე არ ვთქვა საქართველოსთან მიმართებითაც - ა.პ.).

გასაგებია, რომ ნატოს სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც აქვს. პირველ რიგში, ალიანსისთვის ეს სამიტი იმ თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი, რომ პრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენი პირველად გამართავს შეხვედრას მოკავშირეებთან ერთად. ამ შეხვედრას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს მის წინამორბედ დონალდ ტრამპთან 4-წლიანი დამაბული ურთიერთობების შემდეგ. პრეზიდენტმა ბაიდენმა და მისმა ადმინისტრაციამ უკვე გააკეთა მნიშვნელოვანი განცხადებები სამოკავშირო ურთიერთობების ურყევობის შესახებ. გარდა ამისა, აშშ-ს ადმინისტრაციამ ძალიან კონკრეტული ნაბიჯებიც გადადგა ალიანსის ცალკეულ წევრებთან, განსაკუთრებით კი, გერმანიასთან წლების მანძილზე გაფუჭებული ურთიერთობების აღდგენის მიზნით. საყოველთაო შეფასებით, „ნორდსტრიმ 2“-ის გაზსადენთან დაკავშირებით სანქციების შერბილების გადაწყვეტილებაც სწორედ ამ კავშირების აღდგენა/გაუმჯობესებისთვის გაკეთებული გულუხვი ჟესტი იყო აშშ-ს

პრეზიდენტის მხრიდან. ცხადია, ასეთი გადაწყვეტილება ნამდვილად გაახარებდა გერმანიის კანცლერს და პოზიტიურ ფონს შეუქმნიდა ნატოს სამიტის წინ. სამაგიეროდ, ამ ნაბიჯმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია უკრაინაში, რომელიც „ნორდსტრიმ-2“-ის რეალიზებას პირდაპირ საფრთხედ აღიქვამს თავისი სტაბილურობისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის.

ამასთან, ნატოს სამიტზე მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ნატოს ტრანსფორმაციისა და ადაპტაციის შესახებ ნატოს დაკვეთით მაღალი რანგის ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებულ დოკუმენტს, კოალიციური ჯარების ავღანეთიდან გაყვანის პროცესს და ავღანეთში შექმნილ ახალ რეალობას, კლიმატურ ცვლილებებს, ჰიბრიდულ საფრთხეებს და, რა თქმა უნდა, რუსეთს, უფრო ზუსტად კი, მისი შეკავების გზებსა და შესაძლებლობებს. ამდენად, უკრაინული მხარის გულისწყრომა სრულიად გასაგებია. მაშინ, როდესაც მსჯელობ რუსეთის შეკავებაზე, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია უშუალოდ იმ პარტნიორი ქვეყნების მოწვევა, რომლებსაც ყოველდღე ემუქრებათ ეს საფრთხეს.

ყოველთვის მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ მიუხედავად დაბრკოლებებისა, საქართველომ და უკრაინამ მაინც განუხრელად უნდა განაგრძონ მზადება იმ ხელსაყრელი მომენტისთვის, რომელიც აუცილებლად დადგება (და, შესაძლოა, ძალიან მალეც). ასე იყო 2000-იანების დასაწყისში, როდესაც დიდი გაფართოების თაობაზე მიიღეს გადაწყვეტილება. რომ არა ალ-ქაედას ტერორისტული თავდასხმა ამერიკის შეერთებულ შტატებზე, მაშინაც არ იყო ალიანსი მზად ახალი წევრების მოსაწვევად, მაგრამ შექმნილმა გარემოებამ პრაქტიკულად ერთ დღე-ღამეში შეცვალა ვითარება.

ასევე შეიძლება შეიცვალოს ნატოს შიგნით არსებული სკეპტიკური განწყობებიც. ამ თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანია, თუ როგორი შედეგებით დასრულდება სექტემბერში დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნები გერმანიაში. გერმანელი მწვანეების კოალიციურ მთავრობაში მოსვლის შემთხვევაში, ნატოს ახალი გაფართოების შანსები შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს.

რამდენიმე სიტყვით აუცილებლად უნდა ითქვას უკრაინასა და საქართველოს შორის ურთიერთობებზე. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები ნამდვილად არ შეესაბამებოდა იმ დონეს, რომელიც უნდა ჰქონდეს ნატოში გაწევრიანების მსურველ, საერთო სტრატეგიული ინტერესებისა და მეგობრული ურთიერთობების დიდი ისტორიის მქონე ორ ქვეყანას. მისასალმებელია, რომ ბოლო პერიოდში კავშირების აღსადგენად გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა და ჩატარდა ორმხრივი ვიზიტები. აქვე აღვნიშნავ, რომ ნატოში გაწევრიანების უახლოეს ისტორიაში იყო ერთდროულად 10 ქვეყნის გაწევრიანების პრეცედენტიც და ინდივიდუალური წევრების მიღების გადაწყვეტილებებიც.

ექსპერტთა წრეებში არაერთხელ განხილულა საკითხი, რომელი გზა აჯობებს უკრაინისა და საქართველოსთვის: ერთ კალათაში განხილვა თუ ინდივიდუალური გაწევრიანების სტრატეგია. ნატომიც და საექსპერტო წრეებშიც უპირატესობა საქართველოს და უკრაინის ერთად მიღების ვერსიას ენიჭება. მეც ასევე ვფიქრობ, რომ ჩვენი ქვეყნებისთვის უმჯობესი იქნება, თუ გაერთიანდება ძალისხმევა დიპლომატიური აქტივობის (განსაკუთრებით, სკეპტიკურად განწყობილი ქვეყნების დედაქალაქებში), სამხედრო თავსებადობის, რეფორმების განხორციელებაში ურთიერთმხარდაჭერის და ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავების მიმართულებებით. თუ ეს ურთიერთობები რეალურად მიაღწევს სტრატეგიული მოკავშირეებისთვის შესაფერის დონეს, ჩვენს სათაურში გამოტანილი კითხვის ერთ ნაწილს (როგორ შევალთ ნატოში?) აუცილებლად გაეცემა პასუხი და დარწმუნებული ვარ, გააჩენს რეალურ ნიადაგს ბოლო დროის ყველაზე აქტუალური კითხვის - როდის შევალთ ნატოში? - კონკრეტული პასუხისთვის.